იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული "აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის (II)" ხელმოწერის ცერემონია

2016 წლის 7 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ხელმოწერის ცერემონია, რომელიც ითვალისწინებს ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) ფარგლებში 4.41 მილიარდი იაპონური იენის **(¥4,410,000,000**) ოდენობის დამატებით დაფინანსებას აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტთან (II) დაკავშირებით.

ურთიერთგაცვლით ნოტებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციას ხელი მოაწერეს იაპონიის მხრიდან საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტოშიო კაიტანიმ, ხოლო საქართველოს მხრიდან - საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ. პარალელურად, სასესხო ხელშეკრულება გაფორმდა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა (JICA) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს უზბეკეთის ოფისის ხელმძღვანელმა ბატონმა კაცუტოში ფუშიმიმ და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ნოდარ ხადურმა.

აღნიშნული სასესხო დახმარება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტს მოხმარდება. საყურადღებოა, რომ პროექტის დასაფინანსებლად შესაბამისი დოკუმენტაცია 2009 წელს გაფორმდა (სასესხო დახმარების პირველი ეტაპი შეადგენდა ¥17,722,000,000 იაპონურ იენს), ხოლო ეს პროექტის მეორე ფაზაა. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურობას.

პროექტების სასესხო პირობები შემდეგია:

1. წლიური საპროცენტო განაკვეთი: 1.40% (საკონსულტაციო მომსახურების წილი, 0,01%)
2. გადახდის ვადა: 25 წელი (საშეღავათო პერიოდის 7 წლის ჩათვლით)
3. შესყიდვების პირობა: ზოგადი ერთიანი სესხი